

"რეპრესირებულ პირთა იდენტიფიცირებისთვის ეკდესიას სახსრები არ გააჩნია" – დეკანოზი იოანე გორგედიშვიდი



ხეღვაჩაურის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩენილ რეპრესირებულთა საერთო სამარხზე ბათუმისა და რაზეთის ეპარქიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური პირველ კომენტარს აკეთებს.

დეკანოზი იოანე გორგედიშვიდი ამბობს, რომ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ სამარხში ნამდვილად რეპრესირებულები იყვნენ დამარხდნენ.

„არსებობს მეცნიერთა მტკიცებულებები; ცხედრებს შეკრული ჰქონდათ ხელები, აღმოჩენილია მონეტები, რომლებიც მოქმედებდა 1937-38 წლებში. აბსოლუტურად ყველა არის დახვრეტილი, უმრავლესობა კეფაში, ამიტომ სრული მტკიცებულებებია იმის, რომ ისინი არიან რეპრესირებულები“, – განაცხადა დეკანოზმა.

მისივე თქმით, პირთა იდენტიფიცირებისთვის ეკდესიას სახსრები არ გააჩნია, მაგრამ ცარკვეურ ოჯახებს შეუძლიათ ჩაატარონ დნმ-ის ანალიზი.

ისტორიკოსი, პროფესორი რამაზ სურმანიძის მტკიცებით ის აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ხეღვაჩაურში ნაპოვნი საერთო

სამარხი ეკუთვნით 1937-1938 წლებში რეპრესირებულ პირებს.

სურმანიძის თქმით, რამდენიმე წლის წინ მან უშუალოდ მოვლენების თვითმხილველებისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ხედვარიაურში, ამჟამინდელი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, ნამდვირად ხდებოდა დახვრეტილთა ტრანსპორტირება.

„რამდენიმე წლის წინ დავინწყეთ ამის კვლევა. უშუალოდ მძღორისგან მაქვს მოსმენილი, რომ სატვირთო ავტომანქანით გადაჰყავდათ მასობრივად დახოცილები. იყო კიდევ ორი ადგილი საღიბაურსა და ადრიაში, სადაც საერთო სამარხებია.

უშუალოდ მე დავუკავშირდი ეპარქიას, მეუფე დიმიტრის და ერთობრივად მოვიძიეთ ადგილი. დამატებითი კვლევები არ ჩატარებულა, მაგრამ საკმარისი ისტორიული წყაროები მოვიძიეთ, რომ დავრწმუნებუდიყავით, რასთან გვექონდა საქმე“, – განაცხადა რამაზ სურმანიძემ.

ბათუმისა და რაზეთის ეპარქიის ინფორმაციით, ბათუმში, ხედვარიაურის ყოფილ ტერიტორიაზე 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა საერთო სამარხი აღმოაჩინეს. ეპარქიის ცნობით, ოთხ სამაროვანში 150-მდე ნეშტი უწესრიგოდ იყო დამარხული. 21 აპრილს ეპარქია გარდაცვრილთა ნეშტების პატივით დამარხვას გეგმავს. ბათუმისა და რაზეთის ეპარქია 1937-1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ პირთა სიას აქვეყნებს, რომელიც შეგიძლიათ [იხილოთ ბმულზე](#).